

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

სოფიკო ვაშალომიძის
სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

ნასესხები ლექსიკური ერთეულები ეკონომიკური დოკუმენტების ენაში

ხელმძღვანელი:
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი
მზია გომელაური

თბილისი

2011

სარჩევი

1. შესავალი

ა) სიტყვათა და ცნებათა მიგრაცია

თავი 1

ენობრივ ნასესხობათა მიზეზები, პროცესები, ფორმები

ა) ლექსიკური ერთეულების სესხების პროცესები

ბ) ენობრივი სესხების ფორმები

თავი 2

ეკონომიკური ენის ნიშან-თვისებები

თავი 3

ნასესხობები ინგლისურ ეკონომიკურ ენაში

თავი 4

თანამედროვე ქართული ეკონომიკური ლექსიკის თავისებურებები

თავი 5

ნასესხობები თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ენაში

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის სია

ნაშრომის აღწერა:

სიტყვათა სესხება ახალი სინამდვილის ერთერთი თვალსაჩინო ატრიბუტია.

თანამედროვე ეკონომიკური დოკუმენტების ლექსიკური ანალიზის საშუალებით ნათელი ხდება, რომ ენა სრულად აირეკლავს საზოგადოებაში მომხდარ ყველა ცვლილებას, კერძოდ, სრულიად ახალი ეკონომიკური კულტურის შემოჭრასა და დამკვიდრებას.

თუმცა დღეს არსებული დოკუმენტების ტექსტში ტერმინების გამოყენება არც თუ იაშვიათად იწვევს გარკვეულ სიძნელეებს, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია მათი მნიშვნელობის არცოდნასა და ტერმინთა აღრევასთან, რის გამოც ეკონომიკური ლექსიკის შესწავლა ენობრივი ჩარჩოებიდან გამოდის და კულტუროლოგიულ სფეროში გადაინაცვლებს.

ჩვენ შევეცადეთ, რომ ჩვენი ანალიზი სწორედ ამ კუთხით მიგვემართა.

ამ მიზნით გავეცანით ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების მიერ შექმნილ ბევრ ნაშრომს და რაც მთავარია შევისწავლეთ და ანალიზი გავუკეთეთ ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებს.

ჩვენ ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ ნასესხობებზე ინგლისური ენიდან და ნასესხობებზე თავად ინგლისურ ენაში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემა მოიცავს შესავალ ნაწილს, ხუთ ძირითად თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს. შესავალ ნაწილში შევეცადეთ ყურადღება მიგვეპყრო ზოგადად იმ ფაქტზე, რომ კულტურათაშორის კომუნიკაცია რეალიების ურთიერთსესხებასაც გულისხმობს და ახალ ენობრივ სივრცეში მოხვედრილი ლინგვოკულტუროლოგიური ცნებები ნაირგვარ სემანტიკურ კორელაციას განიცდიან. პირველ თავში მოცემულია იმ პროცესების ზოგადი

მომოხილვა, რომელიც ენობრივ ნასესხობების არსებობას განაპირობს. მეორე თავში ვცდილობთ დავადგინოთ ის თავისებურებები, რომელიც ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებს ახასიათებს. მესამე თავში შევეცადეთ გადმოგვეცა ლექსიკური ერთეულების სესხების ფორმები ინგლისურ ეკონომიკურ ენაში. მეოთხე თავში განვიხილავთ იმ თავისებურებებს, რომელიც თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ენას ახასიათებს და მეხუთე თავში თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ენაში არსებულ ნასესხობებს განვიხილავთ. დასკვნაში ვადასტურებთ, რომ ენობრივი სესხება - კულტუროლოგიური ფენომენების მიგრაცია უდავოდ არის ენის გამდიდრების ერთერთი საშუალება, თუმცა ქართული ენობრივი ნორმების დაცვა ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია.

1. შესავალი

ა) სიტყვათა და ცნებათა მიგრაცია

“Свадьба - это большой и ответственный праздник!”

Тамада - как ведущий свадебного торжества Киева, или Москвы - это ключевая фигура Вашего праздника. Именно **тамада** обеспечит Ваш праздник юмором и создаст атмосферу торжества и радости, направит свадьбу по правильному сценарию, не даст скучать Вашим гостям и обеспечит незабываемыми впечатлениями. В каталоге Вы сможете правильно выбрать **тамаду** среди специалистов своего дела, быстро ознакомиться с анкетой **Тамады**, узнать о его ценах, пригласить его на Вашу свадьбу.” (*Каталог WeddingClub. Москва. 2010 год*).